განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მიგრაციის მართვა

## სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასება განხორციელდა 2019 წლის 4 აპრილს

დასკვნა წარდგენილია 6 მაისი 2019 წელი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მიგრაციის მართვა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | მიგრაციის  კვლევების მაგისტრი/MA in Migration Studies 110902 |
| სწავლების ენა | ქართული- ინგლისურენოვანი კომპონენტებით |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ავტორიზირებული/აკრედიტირებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შოთა დოღონაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიამ დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

2014 წლის 7 თებერვლიდან (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #24) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ერთობლივი თანამშრომლობის პირობებში ხორციელდება მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა.

პროგრამის კურიკულუმი შემუშავებულ იქნა TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში კონსორციუმში შემავალი 17 პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გრაცის უნივერსიტეტი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში და 4 უნივერსიტეტი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიულ და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა მიგრაციის მართვის მიმართულებით, რომელიც მათ გამოუმუშავებს ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების უნარებს.

მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და ამ შედეგების მიღწევის სწავლის მეთოდები. მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტს მოიცავს. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულ კრედიტებს. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: სასწავლო კომპონენტები 90 კრედიტი; მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსებია 24 კრედიტი, მათ შორის 12 კრედიტი პრაქტიკისთვის. 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 4 აპრილს. ვიზიტამდე, 2 აპრილს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (შოთა დოღონაძე, მარიამ დალაქიშვილი, ნანა ფირცხელანი) 15:00 საათიდან 18:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა

პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
- მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეორე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს თუმცა 2.3 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, მესამე სტანდარტი შესაბამება მოთხოვნებს, 3.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია მოხდეს სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტების გაუმჯობესება;
  - რეკომენდებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, კვლევის მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის სილაბუსების გადახედვა მათი გაუმჯობესების მიზნით.
  - რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და დაცვაზე განხორციელდეს მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით.
  - რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურის სია, განახლებისა და შესასწავლი მასალის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.
  - რეკომენდებულია დაწესებულებამ გააკონტროლოს სამაგისტრო ნაშრომებში არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - დაწესებულებამ სასურველია უფრო ხშირი გახადოს სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორქშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს  დარგის უფრო მეტი უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი;

- დაწესებულებამ სასურველია შეიმუშავოს სტუდენტებთან კომუნიკაციის უფრო ეფექტური არხები, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირება სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობაზე;
- სასურველია შინაარსობრივად გადაიხედოს მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული „გამოცდა სპეციალობაში“, რამდენადაც მიგრაციის მართვის სპეციალისტების მომზადებას ბაკალავრიატის დონეზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს ვერ ექნებათ მოცემულ სპეციალობაში საჭირო ცოდნა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა უნიკალურია საქართველოს მასშტაბით და მას ჯერჯერობით საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ანალოგი არ გააჩნია. პროგრამა, სტუდენტების მიერ  მისი ათვისების პირობებში აუცილებლად უზრუნველყოფს  სათანადო დონის სპეციალისტების მომზადებას  მიგრაციის კვლევების მიმართულებით. ამავდროულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამის განხორციელებით დაგროვილმა გამოცდილებამ საშუალება მისცა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს  მნიშვნელოვანი დახმარება აღმოეჩინათ ქაბულის უნივერსიტეტისთვის ანალოგიური პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის თვალსაზრისით, რაც  საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცდილებაა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ  მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად  სრულად გაითვალისწინა  2014 წელს აკრედიტაციის დროს გამოთქმული რჩევები და რეკომენდაციები. სახეზეა პროგრამის განვითარება, ტენდენციები, რომელიც  გამოსახულია შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის მიმართულებით. საინტერესო გამოცდილება იქნა დაგროვილი  უცხოეთის ქვეყნებში პროგრამის ფარგლებში  პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ვიზიტების დროს. მოკვლეული მასალა, სტუდენტთა სტაჟირებით მიღებული ცოდნა  ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის<br><br>სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვას და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობას.<br><br>სრულ შესაბამისობაშია მიგრაციის მართვის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში (თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის #79 დადგენილება).<br><br>პროგრამის შემუშავება განხორციელდა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, რამაც შესაძლებლობა მისცა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, უცხოელ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების ფორმატში, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და გამოყენების მიმართულებით ახლებური ხედვების ჩამოსაყალიბებლად.<br><br>სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაცია მუდმივად მუშაობს ახალ საერთაშორისო პროექტებზე მიგრაციის სფეროში საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება/განვითარების მიმართულებით. მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ამჟამადაც არიან ჩართული ერაზმუს+ის პროექტში: “მიგრაციის სწავლების წახალისება უმაღლეს განათლებაში”, რაც შესაძლებელს ხდის პარტნიორ უნივერსიტეტებში მობილობისა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარების, ახალი აკადემიური კონტაქტების დამყარებისა და განსაკუთრებით ახალი თაობის წარმომადგენლებს შორის პროფესიული კავშირების განვითარებისთვის. |

აღნიშნულ მიზანს ემსახურება, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით 2018 წლის ივლისის თვეში მიგრაციისადმი მიძღვნილი ინტერ დისციპლინური, მულტიკულტურული საზაფხულო სკოლის ჩატარება. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღო 65 პროფესორმა და სტუდენტმა სამხრეთ კავკასიის მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამებიდან, ისევე როგორც ოლდენბურგის უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული მიგრაციისა და ინტერკულტურული ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამიდან, ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტიდან და ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან. სკოლამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო, როგორც უნივერსიტეტის ასევე მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას.

სამაგისტრო პროგრამის აღნიშნული მიზნები შესაბამისობაშია ასევე თსუ აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 26 თებერვალს მიღებული #80 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-6, მე-8 და მე-10 მიზნებთან:

“საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია”

“საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება”

“მართვის სისტემის გაუმჯობესება, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების

განვითარება”

პროგრამის მიზანი რეალურია, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფიზიკური და ადამიანური რესურსები.

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის დანერგვა და მისი შემდგომი გაუმჯობესება დაფუძნებულია შრომის ბაზრის კვლევაზე. უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს შრომის ბაზრის კვლევას და ასევე იყენებს მეორად მონაცემებს ანალიზისა და ტენდენციის გამოსავლენად, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესება განახლების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის მისია;
- მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია (თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის #79 დადგენილება (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/792018//);
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვალის #80 დადგენილება (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/802018/ );
- ერასმუსის პროექტის : მიგრაციის სწავლების წახალისება უმაღლეს განათლებაში - ვებ-გვერდი: http://promig.tsu.edu.ge;
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგები;
- გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;

რეკომენდაციები:

| |
|---|
| ○ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს მიგრაციის კვლევების მიმართულებით საერთაშორისო ცოდნასა და გამოცდილებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროგრამა იზიარებს მიგრაციის საკითხებზე ორიენტირებული ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებისა და სკოლების საუკეთესო პრაქტიკას. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები. თავის მხრივ პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით, რომელიც შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს. 2.2 კომპონენტში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები მოცემულია სწავლის შედეგების რუკის სახით.<br><br>პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული ელემენტების თანხვედრის უზრუნველყოფის მიზნით სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალის |

წარმომადგენლები ასევე პოტენციური დამსაქმებლები, რომელთაც ყოველდღიური შეხება აქვთ მიგრაციის მართვის, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ გამოწვევებთან.

პროგრამის შედეგებზე მუშაობისას ასევე გათვალისწინებულ იქნა, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინდივიდუალური კონსულტაციებისა და შეხვედრების ფორმატში მიღებული ინფორმაცია და შენიშვნები.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოცემულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ყველა იმ უნარს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი, აღნიშნული დასტურდება თითოეული სასწავლო კურსის მიზნის შედარებით სასწავლო კურსის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

პროგრამა შემუშავდა და გაუმჯობესდა შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე, შესაბამისად პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება მიგრაციის მართვისა და კვლევების  დასაქმების  სფეროში მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები იქნა გათვალისწინებული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გასაუბრებიდან ირკვევა, რომ დამსაქმებელთა ჩართულობა გასაუმჯობესებელია.

გასაუბრებიდან ასევე გაირკვა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტენსიურად იყო ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი დარგის სპეციფიკისადმი დამახასიათებლით სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების გეგმა არ არის სრულყოფილი. თუმცა, ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ სწავლის შედეგების შეფასების განახლებული გეგმა და სამიზნე ნიშნულები მზადების პროცესშია და მისი დასრულება მოითხოვს გარკვეულ დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მიგრაციის მართვის საგანმანათლებლო პროგრამა;
- მიგრაციის მართვის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- თსუ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუ  აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **შემუშავდეს სწავლის შედეგების  განახლებული რუკა და სამიზნე ნიშნულები.**

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |

| |
|---|
| უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას  განსაზღვრული აქვს  პირთა პროგრამაზე დაშვების ძირითადად შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო  და  ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს  მინიმუმ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს (სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, რომელმაც აგრეთვე უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა B2 დონეზე ან წარმოადგინოს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი და ჩააბაროს გამოცდა სპეციალობაში.<br><br>სამაგისტრო  პროგრამაზე  საერთო  სამაგისტრო  გამოცდის  გარეშე  ჩარიცხვა  ხდება  საქართველოს  კანონმდებლობით  გათვალისწინებული  პროცედურების  დაცვით.<br><br>სამაგისტრო  პროგრამაზე  მიღება  ხორციელდება  თსუ-ს  რექტორის  ბრძანებით  განსაზღვრული  ვადებისა  და  დოკუმენტების  ნუსხის  გათვალისწინებით.  ჩაბარების  მსურველთათვის  ინფორმაცია  არის  გამჭვირვალე,  საჯარო  და  ხელმისაწვდომი  როგორც,  თსუ-ს  ვებ-გვერდიდან  ასევე,  საგანმანათლებლო  სივრცეში  დამკვიდრებული  ინფორმაციის  მიმოცვლის  წყაროებიდან:  obs.ge,  edu.guide.ge, hr.ge. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მიგრაციის მართვის  სამაგისტრო  საგანმანათლებლო  პროგრამა;<br>○ მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის  თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი -  http://tsu.ge/ ;<br>○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია შინაარსობრივად გადაიხედოს მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული „გამოცდა სპეციალობაში“, რამდენადაც მიგრაციის მართვის სპეციალისტების მომზადებას ბაკალავრიატის დონეზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, შესაბამისად, სამაგისტრო  პროგრამაზე  ჩარიცხვის  მსურველებს  ვერ  ექნებათ  მოცემულ  სპეციალობაში  საჭირო  ცოდნა.  გამომდინარე  იქიდან,  რომ  აღნიშნული  გამოცდის  დროს  ჩაბარების  მსურველები  ესსეს  ფორმატში  წერილობით  წარმოადგენენ  თავიანთ  შეხედულებებს  მიგრაციის  კუთხით  არსებულ  აქტუალური  საკითხების  ირგვლივ,  სასურველია  მიღების  წინაპირობა  -  „გამოცდა  სპეციალობაში“  ფორმულირებული  იქნას  სხვაგვარად. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის საფუძველზე. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი განსაზღვრავს ზოგად დებულებებს. მეორე ნაწილი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, ხოლო მესამე ნაწილი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას. პროგრამის მესამე ნაწილი მოიცავს შემდეგ ძირითად მუხლებს, კერძოდ: 1. პროგრამის მიზნების დადგენა; 2. პროგრამის ადგილის განსაზღვრა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში; 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დადგენა; 4. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა; 5. პროგრამის ძირითადი კომპონენტების მოცულობის განსაზღვრა კრედიტების საშუალებით; 6. სწავლა სწავლების მეთოდის დადგენა; 7. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის აღწერა; 8. პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის საჭირო რესურსების არსებობის დადგენა. 9. პროგრამის მდგრადობის პროგნოზირება. 10. სასწავლო კურსების პროგრამების - სილაბუსების შემუშავება.<br><br>მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებისას რეალიზებულ იქნა უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი შიდა რეგულაციები (იხ. აკადემიური საბჭოს 2017 წ. 8 დეკემბრის #153 დადგენილება). პროგრამაზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებულ იქნა, |

აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებელთა მოსაზრებები. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროგრამა შემუშავებულ იქნა 2013 წელს TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით და იგივე ტრადიციას აგრძელებს დღესაც მიმდინარე ERASMUS-ის პროექტის ფარგლებში.

აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის 153 დადგენილების შესაბამისად შეიქმნა და დამტკიცდა მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის მხარდაჭერის კომიტეტი (2018 წლის #47- ე დადგენილება https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/472018//)

კომიტეტის წევრთა მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის აკრედიტაციის პროცესის დაწყების მიზნებისთვის.

კომიტეტის სხდომაზე პროგრამის გატანამდე შეხვედრები და ინდივიდუალური კონსულტაციები გაიმართა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან.

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამის თავდაპირველი შემუშავების დღიდან მასში ჩართულია, როგორც საერთაშორისო ექსპერტთა გამოცდილება, ისე ადგილობრივი დამსაქმებლებისა და წამყვანი აკადემიური პერსონალის რესურსი, პროგრამის სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. არსებითი ცვლილების განუხორციელებლობის ერთერთი მთავარი ასპექტი ასევე არის ის, რომ პროგრამის კურიკულუმის დღეს არსებული ვერსია, რომელიც წარდგენილია აკრედიტაციაზე არის მიგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული სამაგისტრო პროგრამის ასოცირებულ პარტნიორი (EMMIR), ისევე როგორც ერაზმუსის პროექტის ფარგლებში ნერგავს გამოცდილებას ავღანურ უნივერსიტეტებში.

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ისევე როგორც თსუ-ს ყველა სხვა პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულია ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები. პროგრამის შინაარსში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი (სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, რომელმაც აგრეთვე უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა B2 დონეზე ან წარმოადგინოს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალობაში.

საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი პროცედურების დაცვით.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. ის აგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ეტაპობრივად მარტივიდან რთულის, ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

| |
|---|
| პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე მიღწევები. პროგრამის სტრუქტურა და კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.<br><br>პროგრამის სტრუქტურაში 120 ECTS კრედიტი შემდეგნაირად არის განაწილებული: იმისათვის, რომ სტუდენტს მიენიჭოს მიგრაციის მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მან უნდა დააგროვოს 120 კრედიტი ორი წლის განმავლობაში ოთხ სემესტრზე გადანაწილებით. საიდანაც 66 კრედიტი არის სავალდებულო საგნებისათვის, 24 კრედიტი – არჩევითი საგნებისათვის, მათ შორის 12 კრედიტი – პრაქტიკისთვის, ხოლო დარჩენილი 30 ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს.<br><br>პროგრამის კიდევ ერთ საგულისხმო ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ მის უშუალო განხორციელებაში ჩართულები არიან პოტენციური დამსაქმებლები მოწვეული ლექტორების  რანგში, რაც შესაძლებელს ხდის სტუდენტების უნარ-ჩვევების კიდევ უფრო მეტად დახვეწას დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• მიგრაციის მართვის საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• მიგრაციის მართვის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>• მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის მხარდაჭერის კომიტეტი (2018 წლის #47-ე დადგენილება https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/47201);<br>• თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 153, 08.12.17 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;<br>• დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმი.<br>• სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>• ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსის შინაარსი დაფუძნებულია ძირითად გამოყენებულ ლიტერატურაზე, რომელიც თავის მხრივ აისახება სწავლის შედეგებზე.

კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალიდან. სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების მიზნით 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარდა ფაკულტეტის სტუდენტთა გამოკითხვა. მაგისტრანტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, რამდენიმე საგნის სილაბუსში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, სილაბუსით მოცული თემების სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად ჩამოყალიბებისთვის.

სწავლის პროცესში მუდმივად მიმდინარეობს ინდივიდუალური კონსულტაციები სტუდენტებთან მათთვის საინტერესო საგნების ინდენტიფიცირებისა და შესაბამისი პროფილის პროფესორების მოწვევის მიზნებისათვის. 2018 წლის მარტის თვეში სტუდენტების მოთხოვნით მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე მოწვეულ იქნა პროფესორი ოლდენბურგის უნივერსიტეტიდან რომელმაც სტუდენტებს ჩაუტარა „ვორკშოპი“ კვლევითი თემის ჰიპოთეზის ფორმირებისა და ნაშრომის გამართული სტრუქტურის შემუშავების მიმართულებით.

ამავდროულად, მიზანშეწონილია გადაიხედოს სილაბუსებში დასახელებული ლიტერატურა მათი რაოდენობისა და განახლების მიმართულებით. ამასთანავე სასურველი თითოეული სასწავლო კურსი უფრო მეტად იყოს კონცენტრირებული მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებაზე, მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი აღნიშნული კურსისა და პროგრამის ძირითადი მიზნების ურთიერთკავშირი.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული. თუმცა, ვიზიტის დროს სამაგისტრო ნაშრომების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომების უმრავლესობა არსებული წესის მიხედვით არ იყო შესრულებული. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომის სათანადო დონეზე შესრულებას დიდად შეუწყობდა ხელს დისციპლინის სწავლების განხორციელება, როგორიცაა კვლევის მეთოდები.

ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა აკადემიური წერის ცალკე კურსად დამატების აუცილებლობაც. ხაზგასასმელია, რომ პერიოდულად უცხოელი ექსპერტების მოწვევით და ერთ კვირიანი სემინარების ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან აკადემიური წერის ძირითად ასპექტებს, თუმცა კვლავაც რჩება იმის საჭიროება რომ აღნიშნული კურსი შეტანილი იქნას პროგრამაში და ისწავლებოდეს პირველივე კურსიდან. ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს თავად სამაგისტრო ნაშრომების აკადემიურ გაფორმების ხარისხს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა სურვილი რომ კურსი „საზღვრის დაცვა“ ისწავლებოდეს უფრო გაფართოებულად, ღრმად და ამომწურავად 2 სემესტრის განმავლობაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მიგრაციის მართვის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა;
- მიგრაციის მართვის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ვებ-გვერდი - http://tsu.ge/
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან;

**რეკომენდაციები:**

- მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციების, კვლევის მეთოდოლოგიისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის სილაბუსების გადახედვა მათი გაუმჯობესების მიზნით.
- სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და დაცვაზე განხორციელდეს მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით.
- გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურის სია, განახლებისა და შესასწავლი მასალის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.
- დაწესებულებამ გააკონტროლოს სამაგისტრო ნაშრომებში არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები;

| |
|---|
| ○ ცალკე კურსად დაემატოს „აკადემიური წერა“ და მისის სწავლება დაიწყოს პირველივე სემესტრიდან; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• ყურადღება მიექცეს სასწავლო კურსების თემატიკის ბმას მიგრაციის საკითხებთან, თითოეული კურსის სასწავლო თემებში სასურველია უფრო მეტად გამოიკვეთოს კავშირი კურსის თემატიკასა და მიგრაციის საკვანძო საკითხებს შორის. ამასთანავე, სასურველია დარეგულირდეს სწავლების სამართლებრივი და სოციალური კომპონენტების თანაფარდობა.<br>• შესაძლებლობის ფარგლებში გაფართოვდეს „საზღვრის დაცვის“ კურსი და მისი სწავლება განხორციელდეს 2 სემესტრის განმავლობაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერტული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით პრაქტიკული ელემენტისთვის არჩევით ნაწილში გათვალისწინებულია 12 კრედიტი, გარდა ამისა პროგრამაში ჩართული მოწვეული ლექტორების უმრავლესობა უშუალოდ მოღვაწეობს მიგრაციის სფეროში და შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის არა მარტო განახლებული თეორიული ცოდნის არამედ პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებასაც და შესაბამისად ხელს უწყობს მათთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარჩვევების გამომუშავებას.<br><br>მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციამ 2014 წელს გააფორმა მემორანდუმი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან, რომლის ფარგლებშიც მუდმივად ხდება მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციისა და |

აკადემიური პერსონალის მონაწილეობა სამთავრობო კომისიის საკოორდინაციო შეხვედრებში, მიგრაციის აქტუალური გამოწვევებისადმი სახელმწიფო მიდგომებისა და პოლიტიკის გასაცნობად, ისევე როგორც მიგრაციის სფეროში დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელებისთვის. მიმდინარეობს მოლაპარაკებები მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის პრაქტიკული კომპონენტის შეთავაზებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა საკმაოდ არის გაჯერებული პრაქტიკული ელემენტებით, სტუდენტთა უმრავლესობისათვის პრიორიტეტად მაინც რჩება პრაქტიკული კომპონენტების მოცულობის ზრდა პროგრამაზე სწავლის პერიოდში, განსაკუთრებით აქტუალურია სტაჟირების საკითხები.

სტუდენტთა მოსაზრებით პრაქტიკისა და სტაჟირების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელობა ამ კუთხით აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას შესაბამის უწყებებთან, რათა სტუდენტებს მიეცეთ სამომავლოდ სრულფასოვანი სტაჟირების შესაძლებლობა.

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაცია სისტემატურად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას მათთვის საზღვარგარეთ სასწავლო-კვლევითი მივლინებების გაფორმებით და შესაბამის კონფერენციებში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფით.

თუმცა სასარგებლო იქნებოდა  თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება  რიგ სამთავრობო დაწესებულებებთან, რომლებსაც უშუალო შეხება აქვს მიგრაციის პრობლემატიკასთან.

უნივერსიტეტში ყოველ წლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც.

სტუდენტები დროულად იღებენ სასწავლო პროცესის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას. ასევე ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი დროულად უწევს დახმარებას და კონსულტაციებს. გარდა იმისა, რომ სტუდენტებისათვის გამოყოფილია საკონსულტაციო საათები,  უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია თსუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეები პერსონალისგან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- თსუ-ს ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალები;

| |
|---|
| ○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია უნივერსიტეტმა მეტად იზრუნოს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებაზე სტუდენტთა პრაქტიკისა და სტაჟირებების ორგანიზებისთვის, გააფორმოს შესაბამისი მემორანდუმები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პროგრამის ფარგლებში ცალკეული სასწავლო კურსის შეთავაზებისას პედაგოგები იყენებენ შემდეგი სწავლის მეთოდების კომბინაციას, კერძოდ დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, კონკრეტული სიტუაციებით სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრაციის მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი. სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; |

| |
|---|
| ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;<br>○ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება No68/2018- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;<br>○ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება No71/2018- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებას. შუალედური შეფასება მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სასწავლო წერილობითი ამოცანები, ტესტები, ქეისების შესწავლა, გუნდურ პროექტებზე მუშაობა, ინდივიდუალური პროექტები, წერილობითი ან ზეპირი გამოცდები და სხვა. თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმი ნათლად და გამჭვირვალედ ითვალისწინებს თითოეული კურსის სილაბუსი. სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული, თუ როგორ ფასდება სხვადასხვა ელემენტებში მათი შესრულება. სტუდენტების შეფასების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესების დაცვით. |

| |
|---|
| სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები.<br><br>სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ უკუკავშირი აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან სასწავლო პროცესის მიდინარეობისას თავიანთი მიღწევების შესახებ.<br><br>სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგისტრანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. ასევე, სილაბუსში ასახულია მაგისტრანტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br><br>გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასებების შემდგომ, სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს და პირობებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;<br>○ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;<br>○ თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N 77/2011. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| ○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს პირველივე სემესტრიდან ეძლევათ ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ. |

მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ასევე ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის კონკრეტულ პროფესორთან დადგენილი საკონსულტაციო საათების შესახებ. სწავლის პროცესში პროფესორ/მასწავლებლებს გაწერილი აქვთ, როგორც სალექციო/სასემინარო, ისე საკონსულტაციო განრიგი, თითოეული მაგისტრანტი საჭიროების შემთხვევაში იღებს კონსულტაციებს.

თსუ-ის აკადემიური პერსონალის პედაგოგიურ დატვირთვაში გათვალისწინებული ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების ჩატარება რეგულირდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტებით (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014//) მაგისტრანტთა კონსულტაციების კუთხით მნიშვნელოვანია არსებული საუნივერსიტეტო სერვისები: თსუ-ში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, რასაც კოორდინირებულად ეწევიან როგორც ცენტრალური ადმინისტრაციის, ასევე, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები. მათ შორის ფუნქციები მკვეთრად გამიჯნულია, რაც შესაბამისად ასახულია დებულებებში. ინფორმაცია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოცემულია მაგისტრანტის გზამკვლევში ( https://www.tsu.ge/data/file_db/PR/magistratura%20new.pdf); თუმცა, დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობით (კატალოგით), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესახებ (www.tsu.ge/ge/study/catalogue/). საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე მაგისტრანტისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/ კოორდინატორის ფუნქციებს განსაზღვრავს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და პროცედურა“

(https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/acad_2017/1532017//).

უნივერსიტეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების და მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, აწესებს შეღავათებს: ეტაპობრივად და თანმიმდევრულად აუმჯობესებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნიშნავს დამხმარე პირებს, უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და სხვ. თუმცა, ბოლო 5 წლის განმავლობაში მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე შეზღუდული უნარის მქონე მაგისტრანტი არ ყოფილა.

სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს კურსის ნებისმიერი ლექტორისაგან -

ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია იმ ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც უძღვებიან ამა თუ იმ საგნის სალექციო კურსს. სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ლექტორებთან კომუნიკაციისთვის და სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მისაღებად აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელი, კერძოდ გამოკითხულთა უმრავლესობა ინფორმაციას სწორედ სოციალური ქსელის საშუალებით იღებს.

სასწავლო წლის განმავლობაში მაგისტრანტს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში (თსუ, პირველი კორპუსი, აუდ. №111). იმ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ საკითხი სცილდება მიგრაციის კომპეტენციის ცენტრისა და ფაკულტეტის კომპეტენციის ფარგლებს, სტუდენტთა მომსახურების კუთხით მომუშავე თანამშრომლები მაგისტრანტს უწევენ დახმარებას, ურჩევენ თუ რომელ სტრუქტურულ ერთეულს მიმართონ და ეხმარებიან საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში.

თსუ-ის ცენტრალური ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურა (სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი), ასევე, ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურები თანამშრომლობისა და კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ორგანიზებას, მაგისტრანტთა სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ეტაპობრივ სრულყოფასა და მათ ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესთან/აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება ხდება როგორც ფაკულტეტებზე, ასევე თსუ- ის ცენტრალური ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და აღნიშნული სისტემის წარმოების წესი (წესით განსაზღვრულია სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები), რომელიც მაგისტრანტს საშუალებას აძლევს გაეცნოს მის მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს, აგრეთვე, მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია (https://www.tsu.ge/ge/juridical/orders/r09GB1nmy6bktNC/?p=1 ).

მაგისტრანტებს, აქვთ ელექტრონული ბაზა რომელზედაც მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ადმინისტრაცია ახდენს სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ატვირთვას, გარდა ამისა სტუდენტებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ როგორც უშუალოდ ადმინისტრაციისგან ისე აკადემიური პერსონალისგან ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის გამოყენებით.

მნიშვნელოვანია მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ადმინისტრაციის უშუალო მონაწილეობა მაგისტრანტთა მივლინებებში უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ყოველწლიურად მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის საუკეთესო სტუდენტები მიემგზავრებიან პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში ერთკვირიანი ვიზიტით.

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია თავიდანვე ხდება ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის, რათა მოახდინოს სტუდენტთა მოტივაციის ზრდა და მათთვის დამატებითი პერსპექტივების დასახვა. გამოკითხულ

| |
|---|
| სტუდენტთა უმრავლესობა მივლინების კომპონენტს ასახელებს როგორც საუკეთესო გზას ცოდნის გასაღრმავებლად.<br><br>მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე პირველი მიღების სტუდენტებიდან დაწყებული, ყოველწლიურად ხდება სტუდენტთა მივლინებების დაფინანსება ევროპულ უნივერსიტეტებში.<br><br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, რომელთან ერთადაც ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში, სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლით პროგრამებში და სხვ. უმეტეს მათგანთან უნივერსიტეტს გააჩნია თანამშრომლობის მემორანდუმები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან ICMPD და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან IOM. სტუდენტები განსაკუთრებულად ინტერესდებიან ICMPD-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საზაფხულო სკოლებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღებით.<br><br>მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები 2016 – 2018 წლებში აქტიურად ესწრებოდნენ ICMPD-ის მიერ ორგანიზებულ სემინარებს, საზაფხულო სკოლებს და „ვორკშოპებს“.<br><br>გარდა ამისა მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის პერიოდულად ეწყობა უცხოელი პროფესორებისა და სტუდენტების ვიზიტები, რომლებიც ატარებენ ლექცია-სემინარებს. მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი პერიოდულად უზრუნველყოფს საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზებას საქართველოში მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობით, როგორც სამხრეთ კავკასიიდან ისე ევროპული უნივერსიტეტებიდან რათა ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის პროფესიული კავშირების დამყარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ პროგრამის თვითშეფასება;<br>○ თსუ აკადემიური თვითსეფასება;22/2014, 29 თვითშეფასება;,,/2014, 29 ით<br>○ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური<br>○ პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ . (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014//);<br>○ მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება No 153/2017, 8 დეკემბერი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/acad_2017/1532017//); |

| |
|---|
| ○ თსუ–ის რექტორის ბრძანება No:40/02-01, 2018-02-26, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე. |
| **რეკომენდაციები:**<br>• |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს სტუდენტთათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამის ფარგლებში სალექციო კურსის/ვორკშოპის ჩასატარებლად მოიწვიოს დარგის უფრო მეტი უცხოენოვანი სპეციალისტი/ექსპერტი; |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. |
| წარმოდგენილი პროგრამის მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს სათანადოდ ვერ აისახება შესრულებული და დაცული სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ მხარეზე.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებისათვის წარმოდგენილ რიგ ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურის ნაწილში მითითებულია არავალიდური წყაროები/ლიტერატურა (მაგ. ვიკიპედია, ბლოგები და ა.შ), შესაბამისად, ჩნდება კითხვები რამდენად უნივერსალურია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის და შეფასების წესის დაცვა პროგრამის ფარგლებში. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული პერსონალური მონაცემები (CV);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებით, #112/2013 წლის 4 ოქტომბრი. (https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/salary//));
    - სამაგისტრო პროგრამაზე დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ბოლო 5 წლის განმავლობაში.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების მომზადებასა და დაცვაზე განხორციელდეს მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ გააკონტროლოს სამაგისტრო ნაშრომებში არავალიდური წყაროების გამოყენების შემთხვევები;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უფრო აქტიურად იყოს ჩართული სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო დაცვის პროცესში, ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დასაცავი ნაშრომის ხარისხს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია ცოდნის, გამოცდილების და კვალიფიკაციის შესაბამისად. მათ გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. მიგრაციის სფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილების პარალელურად აქტიურად არიან ჩართულები შესაბამისი მიმართულების/დარგის განვითარების თითქმის ყველა სამთავრობო, კერძო, თუ სხვა არასამთავრობო სტრუქტურების მუშაობასა და ღონისძიებაში.

აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის მხრივ პროგრამა მდგრადია. მას ემსახურება 7 აკადემიური პერსონალი (4 პროფესორი, მათ შორის 3 აფილირებული პროფესორი, 2 არააფილირებული პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 პოსტდოქტორანტი) და 9 მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტი.

| |
|---|
| აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც დასტურდება მათ მიერ უახლოეს წარსულში გამოცემული სტატიებით, სახელმძღვანელოებით ან მონოგრაფიით.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის განვითარებისათვის საჭირო გამოცდილება და ცოდნა, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალთან, რაც საერთო ჯამში, ვთვლით, რომ პროგრამის მდგრადობის გარანტიასაც წარმოადგენს. ხელმძღვანელი ჩართულია, როგორც პროგრამის შემუშავება-შეფასებასა და განხორციელებაში, ასევე პასუხისმგებელია პროგრამის შინაარსის და საუნივერსიტეტო ზოგადი ხარისხის კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობაზე.<br><br>პროგრამას უშუალოდ ემსახურება მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი (2 ადმინისტრაციული პერსონალი- ცენტრის ხელმძღვანელი და მკვლევარი) ისევე როგორც იურიდიული ფაკულტეტის შესაბამისი ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი და უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამისი ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;<br>○ პერსონალის პირადი საქმეები;<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;<br>○ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N118/2014, 22 დეკემბერი „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებული თსუ- ის წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმით N10, 29.12.2014წ.) https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k//;<br>○ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018//;<br>○ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014/// ;<br>○ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება No81/2018, 26 თებერვალი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება No122/2014, 29 დეკემბერი, ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ.<br>○ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება No64/2018, 19 თებერვალი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, |

| |
|---|
| ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია, სწავლების პროცესში თითოეულმა ლექტორმა თავისი საგნის ფარგლებში უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება მოცემული საგნის თემატიკისა (სასწავლო ამოცანებისა) და მიგრაციის კომპონენტის ურთიერთკავშირზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანების (N:39/04; 23.12.2015) საფუძველზე 2015-2016 წლებში შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებით იურიდულ ფაკულტეტზე განხორციელდა მიზნობრივ-სამეცნიერო პროექტები. აღნიშნულ გრანტებში მონაწილეობა მიიღეს ძირითად შტატში მყოფმა და მოწვეულმა პროფესორებმა. |

| |
|---|
| მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მუდმივად უზრუნველყოფს მივლინებებს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში ერაზმუს + პროგრამით.<br><br>მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ასევე სისტემატურად იღებს მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებულ სტატიებში და მონოგრაფიებში.<br><br>ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად აანალიზებს აქტივობას საგრანტო კონკურსებში, ასევე, აფასებს სამეცნიერო პროდუქტიულობას, რაც დეტალურად მოცემულია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში. (ინფორმაცია:https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances)).<br><br>პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგებსა და პროექტებში (ტრენინგების რაოდენობაა 36, სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის მაჩვენებელი 12). ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ ყოველწლიურად ხდება განხორციელებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირება/გაანალიზება და მასალები გადაეცემა თსუ-ს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად. ყოველწლიური ანგარიშები ეგზავნება მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. ანგარიშის ელექტრონული ვერსიები განთავსებულია თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ვებ გვერდზე. (https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances).<br><br>სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს შექმნას მაღალრეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები. მოთხოვნები განისაზღვრა აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის #122 დადგენილებით, ასევე ამ დადგენილებაში 2017 წლის 27 მარტის #29 და #30 დადგენილებებით შეტანილი ცვლილებებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;<br>○ მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ პერსონალის პირადი საქმეები;<br>○ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის #122 დადგენილება;<br>○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ფაკულტეტის ბიუჯეტი;<br>○ 2013 - 2018 წლებში უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებსა და ბიბლიოთეკის განვითარებაზე გათვალისწინებული დაფინანსება;<br>○ თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances/ ;<br>○ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის 29/2017 დადგენილება;<br>○ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017წლის 27 მარტის N30/2017 დადგენილება; |

- 2017-2020 ERASMUS+Assessment Tools for new learning environments in higher education institutions / ASSET;
- პერსონალის მობილობის მაჩვენებელი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესებში და გარდა იმისა, რომ აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მინით დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე თავად უზრუნველყოფენ საქართველოში მიგრაციის საკითხების ირგვლივ არსებული ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარებას სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებისათვის. ასევე ხაზგასასმელია აღნიშნული პროგრამის აკადემიური პერსონალის მცდელობა, შექმნან რეგიონალური მასშტაბის მიგრაციული საკითხების კვლევითი ცენტრი საქართველოში, რაც კიდევ ერთი უნიკალური საშუალება იქნება მოიზიდონ საერთაშორისო გამოცდილების ექსპერტები და ასევე თავად გაუზიარონ არსებული გამოცდილება მეზობელ ქვეყნებს.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტი ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის მიმართ დაწესებულ მოთხოვნებს, რაც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა ხორციელდება თსუ პირველ და მეორე კორპუსებში და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში.

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია კომფორტული სასწავლო გარემო სწავლებისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ, სასწავლო პროცესში პროფესორებისთვის და სტუდენტებისთვის ხელმისაწდომია პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა, პერსონალური კომპიუტერები;

სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა და ოთახები აღჭურვილია თანამედროვე კონდიცირების სისტემებით;

სასწავლო პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, გააჩნიათ თავისუფალი წვდომა პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისთვის;

დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა;

აკადემიურ პერსონალს აქვს სამუშაო სივრცე და ასევე თავისუფალი წვდომა მატერიალურ-

ტექნიკურ ბაზასთან; ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო საკანცელარიო ნივთებითა და მასალებით;

სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა უსადენო ინტერნეტთან (Wi-Fi). სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და გამართულად წარმართვისათვის პროგრამის სარგებლობაშია შემდეგი დასახელებისა და რაოდენობის ინვენტარი და ტექნიკა:

პროექტორი – 3 (სამი) ცალი;

ნოუთბუქი – 10 (ათი) ცალი;

პრინტერი (მათ შორის კომბინირებული) – 4 (ოთხი) ცალი;

გარდა მითითებული ტექნიკისა სტუდენტებს და ლექტორებს აქვთ წვდომა თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე არსებულ კომპიუტერულ რესურსცენტრთან, თსუ პირველი კორპუსის პროექტორებიან აუდიტორიებთან და GIPA-ს სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ბალანსზე არსებულ რესურსებთან.

სასწავლო პროგრამას აქვს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა,

რომელშიც განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს, რომლის შევსება და განახლება ხდება სისტემატურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე სხვა

| |
|---|
| სახის ლიტერატურით. გარდა ამისა სტუდენტები უშუალოდ ლექტორისგან იღებენ რიდერებს კონკრეტული საკითხების მოსამზადებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა;<br>○ ვიზიტის პროცესში ინტერვიუებზე მიღებული ინფორმაცია;<br>○ თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ- გვერდი; http://www.sciencelib.ge; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა |
|---|
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას (მათ შორის პროგრამის ადმინისრაციული პერსონალის ანაზღაურება), კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის |

| |
|---|
| გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას.<br><br>მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა ასევე ფინანსდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ერასმუსის გრანტის: "მიგრაციის სწავლების წახალისება უმაღლეს განათლებაში" ფარგლებში რომელშიც თსუ-სა და GIPA-სთვის ჯამურად გამოყოფილია დაფინანსება 160,000.00 ევროს ოდენობით. აღნიშნული გრანტი უზრუნველყოფს:<br><br>- წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრებას;<br>- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურებას, სასწავლო/კვლევით ვიზიტებში მონაწილეობისა და საქმიანი კონტაქტების დამყარებას პროგრამის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის;<br>- სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას საზღვარგარეთ მივლინებებში მონაწილეობისათვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ცოდნის ამაღლებას, გამოცდილების შეძენას, მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას.<br><br>გარდა ზემოთაღნიშნულისა უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით;<br><br>პროგრამის დაფინანსების წყაროა ასევე სტუდენტების მიერ ყოველსემესტრულად გადახდილი სწავლის საფასური. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;<br>○ უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის 27 დეკემბრის სხდომის ოქმი #5, დანართი 3 https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/5_2017.pdf;<br>○ GIPA-ს სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ბიუჯეტი;<br>○ პროექტის ბიუჯეტი;<br>○ ბრძანება სტუდენტებისთვის შიდადაფინანსების გაცემის თაობაზე. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა განსაზღვრულია შესაბამისი ფაკულტეტების დებულებებით.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან მოყოლებული მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაცია ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და ამზადებს შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა. გამოკითხული მხარეები ადასტურებენ პროგრამის ხარისხის განვითარების პროცესში მათ ჩართულობას და ასევე, მათ მიერ დასახელებული ნაკლოვანებების გათვალისწინებას. ასევე უნდა აღინიშნოს, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურ პირდაპირ კომუნიკაციაშია სტუდნტებთან და აქვს ინფორმაცია მათი საჭიროებებისა და სურვილების შესახებ, რასაც ხელს უწყობს პროგრამაზე სტუდენტების კონტიგენტის სიმცირე.

ასევე, ინტერვიუებშიც დადასტურდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების და პროგრამის დახვეწის პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალის ჩართულობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსის შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ”;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს სამაგისტრო 2017 სახელობის და 2017 წლის 8 დეკემბრის N153/2017 დადგენილება;
- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის N03/03 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარების დამტკიცების შესახებ;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N 67/2018 „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ |
| **შეფასება**<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადასტურებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმის არსებობას. მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულ იქნა TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში.<br>ოლდენბურგის უნივერსტიტეტი წარმოადგენდა კურიკულუმის განვითარების სამუშაო ჯგუფის ლიდერს. პროგრამის კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სწორედ ოლდენბურგის უნივერსიტეტის წამყვანი ექსპერტების რეკომენდაციები. გარდა ამისა მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობას იღებს GIPA-ს პროგრამების კოორდინატორი ვისთანაც აქტიური სამუშაო რეჟიმის პირობებში ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება პროგრამის ადმინისტრირების შემდგომი დახვეწის მიმართულებით.<br>ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, |

| |
|---|
| პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვა და სახვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. 2014 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილ იქნა ცალკეული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. პროგრამის განხორციელების პროცესში, იქნა გათვალისწინებული აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები.<br><br>დაწესებულებაში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. დამტკიცებულია თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, სამოქმედო გეგმა.<br><br>სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია მიმართულებები. თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები/ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, ფინანსური რესურსი. ამასთან, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად საზომს წარმოადგენს აკრედიტაციის პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• აუდიტის სამსახურის კვლევის შედეგების ანგარიში;<br>• ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით პერიოდულად იურიდიულ ფაკულტეტზე ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. ასევე, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, პერსონალის გამოკითხვები, დამსაქმებლის გამოკითხვები.

ზემოთ აღნიშნულის გარდა:

- აკრედიტაციის მზადების პროცესში შეფასდა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით გადამუშავდა/განახლდა ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები;
- ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან სააკრედიტაციოდ წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მზადების პროცესებთან დაკავშირებით;
- მოეწყო სააკრედიტაციოდ წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების განხილვები პროფესორთა/პროგრამის ხელმძღვანელთა სხდომებზე;
- გაანალიზდა აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად მიღებული ინფორმაცია, შესაბამისი მასალები და მტკიცებულებები;
- დამუშავდა აღნიშნული კითხვარის შედეგები ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების საფეხურების მიხედვით აკრედიტაციაზე წარსადგენი პროგრამების ვით შეფასების ორგანიზების მიზნით; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა ფაკულტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარი სააკრედიტაციოდ წარსადგენი პროგრამის თვითშეფასების მიზნით. ჩატარდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დამუშავდა შედეგები;

მოხდა თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის 153 დადგენილების შესაბამისად ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განახლების/გადამუშავების პროცესის ორგანიზება. კერძოდ, შეიქმნა პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი, ორგანიზება გაუკეთდა შეკრებებს არსებული პროცედურების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებას;

აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის შესავსებად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელებთან/ადმინისტრაციასთან/აკადემიურ/ პერსონალთან/სტუდენტებთან/სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით

| |
|---|
| გამოვლინდა საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაისახა სრულყოფის მიმართულებები.<br><br>ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში შეაფასდა ,,მიგრაციის მართვის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელება ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის“ მიხედვით. პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია თვითშეფასების კითხვარში.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული მხარეები კითხვარის საშუალებით და უკუკავშირის სხვა ფორმების გამოყენებით.<br><br>პროგრამის შეფასება მოხდა რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთ შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ანალიზის შედეგად შემუშავებული წინადადებები გააცნო პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის კომიტეტის წევრებს, ფაკულტეტის საბჭოს წევრებსა და ზოგადად დაინტერესებულ მხარეებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ იურიდიული ფაკულტეტის სხდომის ოქმები;<br>○ ხარისხის სამსახურთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია პერიოდულად მოხდეს პროგრამის შედარება სხვა ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;<br>• სასურველია დაინერგოს კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაციის და სისტემური მიდგომების პრაქტიკა, რათა მოხდეს პროგრამის შეფასების მიზნით მათთან უკეთ თანამშრომლობის უზრუნველყოფა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ |

| შეფასება |
| --- |
| ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა

## დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

შოთა დოღონაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მარიამ დალაქიშვილი 

ნანა ფირცხელანი 

06 მაისი 2019 წელი